პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

კომუნისტი ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 22 თებერვალი, 1944 წ. № 37 (6931). ფასი 20 კაპ.

მოსკოვი, კრემლი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის შედეგებისადმი მიძღვნილი, — მგზნებარე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, ბოლშევიკების პარტიის დიდ ბელადს, სსრ კავშირის ხალხთა საყვარელ მასწავლებელსა და მეგობარს, სახელოვანი გმირი წითელი არმიის გენიალურ მხედართმთავარს.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ მიღებული კანონები განსაზღვრავენ საბჭოთა კავშირის შემდგომი განმტკიცების გზებს, ნათლად ცხადყოფენ საბჭოთა სახელმწიფო წყობილების მძლავრ ძალას, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას და პარტიის, საბჭოთა მთავრობის გარშემო, დიდი სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ხალხების მეგობრობის უძლეველობას.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებში და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ მიღებულ კანონებში ასახულია უდიდესი ორგანიზატორული და შემოქმედებითი მუშაობა, რაც ომის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში გაწეულია თქვენი ხელმძღვანელობით.

საბჭოთა კავშირმა გაუძლო ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის ყველა განსაცდელს. მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებმა შესაძლებლობა მოგვცეს არა მარტო მოგვეწყო წინააღმდეგობის გაწევა ძლიერი და ფერადი მტრისათვის, არამედ აგრეთვე გვეგეშებინა მისთვის მთელი რიგი მძიმე დამარცხებანი და ჰიტლერული არმია კატასტროფის წინაშე დაგვეყენებინა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ მიღებული 1944 წლის ბიუჯეტი, რომლის შემოსავალთა ნახევარზე მეტი ომის საწარმოებლად არის გადადებული, ომის ნათელი დადასტურებაა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკა ომის განმავლობაში გაიზარდა და განმტკიცდა, რომ სახალხო მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნის გეგანტურმა, ისტორიაში უმსგალითო მუშაობამ, რაც გენიალური სტალინური ხელმძღვანელობით ჩატარდა, მრავალჯერ გაზარდა საბჭოთა სახელმწიფოს ძალები.

სსრ კავშირის 1944 წლის ბიუჯეტი ასახავს ჩვენი ქვეყნის ძლიერების განუხრელ ზრდას, საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმს, მის ნებასურვილს ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ სავსებით გაანადგუროს მტერი და განდევნოს იგი წმიდათა-წმიდა საბჭოთა მიწა-წყლიდან.

პარტიული ორგანიზაციების წინაშე ისახება ახალი პასუხსაგები ამოცანები, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და ფინანსიური ძლიერების შემდგომი განმტკიცების დარგში.

თბილისის ბოლშევიკები პირობას აძლევენ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ისინი მთელ ძალ-ღონეს მოანდომებენ იმას, რათა მიაღწიონ საწარმოებში შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას, მთლიანად გამოიყენონ მრეწველობის შესაძლებლობანი და რესურსები, მტკიცედ განახორციელონ მომჭირნეობის რკინისებური რეჟიმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ მიღებულ კანონებს თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებად გარდაქმნის შესახებ, უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, როგორც დიდ სახელმწიფოებრივ გარდაქმნებს, რომლებიც მოწმობენ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალ გამარჯვებას.

ეს ისტორიული კანონები გამსჭვალულია დიდი სტალინური მზრუნველობით ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცებისათვის, სახელმწიფოსი, რომელმაც ბრწყინვალედ გაუძლო და გადალახა კაპიტალისტების ისტორიაში უმაგალითო ომის სიძნელენი და განსაცდელნი.

მოკავშირე რესპუბლიკებში საჯარისო ფორმირებათა შემოღება და საგარეო ურთიერთობის დარგში ამ რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება ხელს შეუწყობს წითელი არმიის ძლიერებისა და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციების შემდგომს, კიდევ უფრო მეტად განმტკიცებას.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა და უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ მიღებული კანონების მხურვალე, ერთსულოვანი მოწონება მთელი საბჭოთა ხალხის მიერ მკაფიოდ გამოსატავს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ ერთიანობას, მათს შემჭიდროებას ბოლშევიკების დიდი პარტიის გარშემო, თავიანთი საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის, წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორის — ამხანაგ სტალინის გარშემო.

სტალინური გენიით აღფრთოვანებული გმირი წითელი არმია გამანადგურებლად ურტყამს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს.

დიდი გამარჯვება ლენინგრადთან, მოწინააღმდეგის ჯარების გარშემორტყმა და მოსპობა უკრაინაში, მტრის განადგურება ფრონტის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს უბნებზე მთელს საბჭოთა ხალხს აღაფრთოვანებს ფრონტისადმი დახმარების გაძლიერების საქმისათვის.

მძლავრი ანტიჰიტლერული კოალიცია, რომელსაც სათავეში უდგანან საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, წარმატებით ურტყამს ფაშიზმს და აახლოებს ჰიტლერელ დამპყრობთა სრული სამხედრო განადგურების ვადებს.

ბრძნული, სტალინური ხელმძღვანელობით წითელი არმია და სსრ კავშირის ხალხები გაანადგურებენ საზიზღარ მტერს, ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ დიდ განსათავისუფლებელ მისიას არა მარტო თავიანთი სამშობლოს მიმართ, არამედ ყველა დემოკრატიული ქვეყნის მიმართაც, რომლებიც იბრძვიან პირსისხლიანი ჰიტლერის უღლისა და მისი საზიზღარი „ახალი წესრიგის“ მოსასპობად.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას — გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურებისათვის ბრძოლის ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ლენინისა და სტალინის გენიით შექმნილ მძლავრ მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ბელადსა და მასწავლებელს, წითელი არმიის დიდ მხედართმთავარს, საბჭოთა კავშირის მარშალს, ჩვენს მშობლიურ, საყვარელ სტალინს!

ბრძანებუღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

არმიის გენერალ ი. ს. კონევისათვის საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

არმიის გენერალ ივანე სტეფანეს-ძე კონევს მიენიჭოს საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 20 თებერვალი.

ბრძანებუღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჯავშანსატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ ი. ტ. პერეზიპკინისათვის კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ ი. ტ. პერეზიპკინისათვის კავშირგაბმულობის ჯარების მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ ივანე ტერენტის-ძე პერეპიპკინს მიენიჭოს კავშირგაბმულობის ჯარების მარშლის სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 21 თებერვალი.

ბრძანებუღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ნ. დ. იაკოვლევისათვის არტილერიის მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ნიკოლოზ დიმიტრის-ძე იაკოვლევს მიენიჭოს არტილერიის მარშლის სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 21 თებერვალი.

ბრძანებუღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჯავშანსატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ პ. ა. როტმისტროვისათვის ჯავშანსატანკო ჯარების მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

ჯავშანსატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ პაველ ალექსის-ძე როტმისტროვს მიენიჭოს ჯავშანსატანკო ჯარების მარშლის სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 21 თებერვალი.

ბრძანებუღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჯავშანსატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ ი. ნ. ფედორენკოსათვის ჯავშანსატანკო ჯარების მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

ჯავშანსატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ იაკობ ნიკოლოზის-ძე ფედორენკოს მიენიჭოს ჯავშანსატანკო ჯარების მარშლის სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 21 თებერვალი.

ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტების ჯარების ერთი თვის შეტევის შედეგები

ლენინგრადის ფრონტის ჯარები იანვრის პირველ ნახევარში შეტევაზე გადავიდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ, რომლებსაც ალყა ჰქონდათ შემორტყმული ქალაქ **ლენინგრადისათვის**; ამავე დროს ვოლხოვის ფრონტის ჯარებმა დაიწყეს შეტევა ქალაქ **ნოვგოროდზე**.

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა, **პულკოვოს** რაიონიდან **და ორანიენბაუმის** სამხრეთით მდებარე რაიონიდან დარტყმებით, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული, ღრმად ეშელონირებული ხანგრძლივი თავდაცვა ლენინგრადის სამხრეთ-დასავლეთით. ამავე დროს ვოლხოვის ფრონტის ჯარებმა, გადალახეს რა მდინარე **ვოლხოვი** და **ილმენის** ტბის სათავე, აგრეთვე წარმატებით გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული ხანგრძლივი თავდაცვა **ნოვგოროდის** ჩრდილოეთით და სამხრეთით.

ჩვენმა ჯარებმა ფართოდ მიმართეს შემოვლითის მანევრებს ფრონტალურ დარტყმებთან შეხამებით და შეტევის პირველ 5-6 დღეში დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის ძირითადი გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები — ქალაქები **კრასნოე სელო, როპშა, ნოვგოროდი**, რომელთა გარნიზონებიც გარშემორტყმულ და მოსპობილ იქნენ. ჩვენი ჯარების დარტყმების შედეგად დაიმსხვრა გერმანელთა უძლიერესი თავდაცვა, რომელიც მათ მიაჩნდათ მიუვალ და გადაულახავ „ჩრდილოეთის ზღუდედ“, **ლენინგრადის** ბლოკადის „ფოლადის რკალად“.

ჩვენმა ჯარებმა სდიეს გერმანელთა დამარცხებულ ნაწილებს, განუწყვეტელი შეტევის მსვლელობაში თანამიმდევრობით განდევნეს მოწინააღმდეგე მდინარე **ლუგის** მისადგომთა მთელი რიგი შუალედი გამაგრებული ზღუდეებიდან და მიადგნენ ამ მდინარეს, სადაც გერმანელები ცდილობდნენ შეეჩერებინათ ჩვენი შეტევა წინასწარ აგებულ ძლიერ თავდაცვითს ზღუდეზე. მაგრამ ჩვენი ჯარების გადამწყვეტი და მარჯვე მოქმედებით მდინარე **ლუგა** გადალახულ იქნა, ხოლო გერმანელთა პოზიციები ამ მდინარეზე გარღვეულ იქნა ქალაქ **ლუგის** რაიონში და შემოვლილ იქნა ფლანგებიდან **კინგისეპისა** და **ბატეცკაის** სამხრეთით.

შეტევის მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა ერთი თვის **ბრძოლების** განმავლობაში წინ წაიწიეს 150-250 კილომეტრით, გაწმინდეს მოწინააღმდეგისაგან ფინეთის ყურის სანაპირო მდინარე **ნარვის** შესართავამდე და მთელი ტერიტორია მდინარე **ნარვის** და ჩუდის ტბის აღმოსავლეთით. და გამოვიდნენ **სერედკის, სტრუგი კრასნიეს, პლიუსის, უტორგოშის, შიმსკის** ხაზზე. ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს ქალაქები **პეტერგოფი, ურიცკი, როპშა, კრასნოე სელო, ბუშკინი, პავლოვსკი, გატჩინა, მგა, ტოსნო, კირიში, ლუგა, ლიუბანი, ჩუდოვო, ნოვგოროდი**, ლენინგრადის ფრონტის ოპერატიული ცენტრები **ვოლოსოვო, ოსმინო, ლიადი, პოლნა, პლიუსა, ორედეჟი, ბატეცკაია, უტორგოში, შიმსკი** და 4.000-მდე სხვა დასახლებული პუნქტი.

განთავისუფლებულია უმნიშვნელოვანესი სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც **ლენინგრადს მოსკოვთან აკავშირებს** — ოქტომბრის რკინიგზა, აგრეთვე განთავისუფლებულია **ლენინგრად-ვოლოგდის, ლენინგრად-მგა-რობინსკის, ლენინგრად - ნოვგოროდის, ლენინგრად - ბატეცკაიას, ლენინგრად - ლუგის, ლენინგრად-ორანიენბაუმ-ვეიმარნის, ლენინგრად-კინგისეპის, ვეიმარნ-გდოვის, გატჩინა-ტოსნოს** რკინიგზის ხაზები.

ერთი თვის ბრძოლების განმავლობაში მძიმე დამარცხება ვაგემეთ გერმანელთა მე-18 არმიის ძირითად ძალებს: მე-11, 21-ე, 24-ე, 58-ე, 61-ე, 121-ე, 126-ე, 170-ე, 212-ე, 215-ე, 225-ე, 227-ე, 290-ე ქვეითი დივიზიების, მე-8 და 28-ე მსუბუქი ქვეითი დივიზიების, 1-ლი, მე-9, მე-10, მე-12, მე-13 ავიაციადელე დივიზიების, „სს“ პოლიციელთა დივიზიის, ესპანელთა ლეგიონის, „სს“ სატანკო-გრენადერთა დივიზიების—„ნიდერლანდების“, „ნორდლანდის“, „ფლანდრიის“, ავრეთვე მე-12 სატანკო დივიზიის შემადგენლობით. განადგურებულია გერმანიის არმიის მთავარი სარდლობის მძიმე არტილერიის დიდი საარტილერიო დაჯგუფება, რომელიც უშენდა **ლენინგრადს** და შეიარაღებული იყო 150-დან 406-მდე მილიმეტრი ყალიბის 320 ქვემეხით.

მოსპობილია: 97 თვითმფრინავი, 275 ტანკი, სხვადასხვა ყალიბის 1.962 ქვემეხი, მათ შორის 150-დან 406-მდე მილიმეტრი ყალიბის 102 ქვემეხი, 2.235 ნაღმსატყორცნი, 3.642 ტყვიამფრქვევი, 4.278 ავტომანქანა, 460 სხვადასხვა საწყობი.

მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით 90 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა.

ჩვენმა ჯარებმა **ხელთ იგდეს** შემდეგი დავლა: 189 ტანკი, სხვადასხვა ყალიბის 1.852 ქვემეხი, მათ შორის 150-დან 406-მდე მილიმეტრი ყალიბის 178 ქვემეხი, 2.543 ნაღმსატყორცნი, 4.660 ტყვიამფრქვევი, 42 ათასი შაშხანა და ავტომატი, ერთ მილიონზე მეტი სხვადასხვა ყალიბის ყუმბარა, 17 მილიონი ვაზნა, 2.648 ავტომანქანა, 615 სარკინიგზო ვაგონი, 353 საწყობი სამხედრო ქონებიანად.

ტყვედ წამოყვანილია 7.200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

20 თებერვლის ოპერატიული ცნობიდან

20 თებერვლის განმავლობაში ქალაქ ლუგის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს დასახლებული პუნქტები **პოგოსტიე, პოლოვო, ზაპისენიე, ზვიაგინო, მილიუტინო, ზაპოლიე, ბოლშოი** და მალი ზვადი.

ნოვგოროდის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევის ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს ლენინგრადის ოლქის რაიონული ცენტრი და რკინიგზის სადგური **უტორგოში**, აგრეთვე დაიკავეს დასახლებული პუნქტები **მედვედი, ვისოკოვო, ვანეცი, კლოსკოვო, ბრიანსკაია, დოლეცი, მიხალკინო, მშაგა ვოსკრესენსკაია, სოსნიცი, უგლი.**

ილმენის ტბის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც შეტევის განვითარებას განაგრძობდნენ, ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **რეტლე, კოროსტინი, ბურეგი, ასიშა, ბახმუტოვო, გორიცი, სელცო, მიხალკოვო, ჩუდინოვო, ლიჩინო, შილოვა გორა, სვისტუხა, ვერეხნოვო** და რკინიგზის სადგურები **პერეტერქი, პარნიკი.**

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა, საარტილერიო-სანაღმმტყორცნო ხროლა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

19 თებერვლის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 10 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 19 თვითმფრინავი.

* * *

21 თებერვლის ოპერატიული ცნობა

21 თებერვლის განმავლობაში ქალაქ ლუგის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მათ შორის **სელიშჩე, ვოცკაია, კირილკოვო, კილოშიცი, ვაშკოვო, ივანოვსკაია, პოზოვნი, გოროდიშჩე.**

ილმენის ტბის დასავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითი შეტევის განვითარებას და დაიკავეს ლენინგრადის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი **სოლცი, ვოლოტი, პოდორინე, კალინინის** ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი **ხოლმი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ბოლშოი უტორგოში, ნიზოვა, ოსტროვა, ივანტოვო, ლოკატუხა, ბოლშოე** და **მალოე ზაბოროვიე, სვინოროდი, ილოვიცა, უგოშა, ციპინო, გუშიხა, სუხარევო** და რკინიგზის სადგურები **ნიზი, სოლცი, ვერეშჩინო, შელონი, ვოლოტი.**

კრივოი როგის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, გაბტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს რკინიგზის საკვანძო სადგური **დოლგინცევო,** აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ნოვო-ივანოვკა, ბოჟედაროვკა, ვეჩერნი კუტი, ბოშანოვო, ნოვო-უკრაინკა, პოლტავცი, ანოვკა, ივანოვკა, ნოვი კრივოი როგი** და რკინიგზის სადგურები **როკოვატაია, კოლოგინცევო, კაგანოვიჩი, რადუშნა.** ჩვენი ჯარები ზედ მიადგნენ ქალაქ **კრივოი როგს** და გაიჩაღეს ბრძოლება ქალაქის განაპირა უბნებში.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა, საარტილერიო-სანაღმმტყორცნო ხროლა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

20 თებერვლის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა 40 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 11 თვითმფრინავი.

* * *

ილმენის ტბის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა გააფართოვეს ბრძოლების შემდეგ დაიკავეს ქალაქების ოლქის რაიონული ცენტრი—ქალაქი ხოლმი, გერმანელები დიდი ხნის განმავლობაში ამაგრებდნენ ამ ქალაქს და იგი მძლავრ დასაყრდენ პუნქტად ჰქონდათ გადაქცეული. ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მოქმედებდნენ, გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა, სწრაფად წაიწიეს წინ და გადასჭრეს ხოლმ-ლოვნიას გზატკეცილი, რომელიც გერმანელთა ძირითად კომუნიკაციას წარმოადგენდა. ამავე დროს საბჭოთა ნაწილებმა გადალახეს მდინარე ლოვატი ქალაქ ხოლმის ჩრდილოეთით და სამხრეთით და შეაჭრნენ ბრძოლები ქუჩებში. დღის მიწურულისათვის ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს ქალაქი ხოლმი. ქალაქის ქუჩებში გერმანელებმა თავიანთ ჯარისკაცთა და ოფიცერთა 500-ზე მეტი გვამი დასტოვეს. ხელში ჩავიგდეთ 20 ტანკი, 32 ქვემეხი, 120 ტყვიამფრქვევი, 600-ზე მეტი ავტომატი და შაშხანა, საომარი მასალებისა და სურსათის საწყობები. აეროდრომზე ხელში ჩავიგდეთ გერმანელთა 45 თვითმფრინავი, რომელთა ნაწილი დაზიანებული და დამტვრეულია. წამოყვანილია ტყვეების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

• • •

ქალაქ ლუგის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან გათავისუფლეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოსპობილია 800-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 4 ტანკი, 16 ქვემეხი, აქედან ორი თვითმავალი ქვემეხი, ხელთ ვიგდეთ დიდძალი დაკვა და მრავალი ტყვე. ერთ უბანზე, მოწინააღმდეგის კონტრიერიშის მოგერიებისას, ჯავშანმტვრეველებმა — უფროსმა სერჟანტმა აქსენტიევმა და წითელარმიელმა ორეხოვმა დაიზიანეს ჩვენს ჯარისკაცებს ნოვორომისის უმაგალითო გმირულ იერიშზე, ტამანის სიმაგრეებზე. მარჯვენა ნაპირის უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა, რომლებსაც ბრძანებდა გენერალი ლესელიძე, სამუდამოდ ჩაწერეს თავიანთ სახელოვან ბრძოლის ისტორიაში ბრძოლა ქალაქ ხოლმისათვის.

ჯერ კიდევ შეინარჩუნონ კრივოი როგი, სასწრაფოდ მოიშველიეს ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალები და არაერთხელ გადმოვიდნენ კონტრიერიშზე. ნ შენაერთის ნაწილებმა მიმართეს შემოვლითს მანევრს, მთელ რიგ დიდ დასახლებულ პუნქტებში გარშემოერტყნენ მტრის გარნიზონებს და მოსპეს ისინი. გადაეტილია 1.500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. კრივოი როგის სამხრეთით მოქმედმა ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის გააფთრებული კონტრიერიშები და ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. განადგურებულია გერმანელთა ორი პოლკი ქვეითი ჯარი. ხელთ ვიგდეთ 40 ქვემეხი, 67 ტყვიამფრქვევი, 320 ავტომანქანა და სხვა დავლა.

• • •

ბალტიის ზღვაში ჩაძირულ იქნა მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 5 ათასი ტონა წყალწყვისა.

• • •

წითელი არმიის 24-ე წლისთავის სახელობის უკრაინის პარტიზანთა რაზმი თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს, რომელიც განლაგებული იყო ვოლინის ოლქის რაიონულ ცენტრში. ჰიტლერელებმა ქვიტკირის შენობებს შეაფარეს თავი და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. პარტიზანები სამი დღის განმავლობაში ეწეოდნენ ბრძოლას მოწინააღმდეგესთან და მოსპეს მტრის 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელში ჩაიგდეს ალალი საომარ მასალებად, 160 ავტომატი და შაშხანა და სხვა დაეცა. სხვა რაზმის პარტიზანებმა ნაღმებზე აიფეთქეს ეშელონი, რომელსაც გერმანელთა ეანდარმები და პოლიცია გადაჰყავდა. მოკლულია და დაჭრილია ბევრი ჰიტლერელი.

• • •

კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონში ტყვედ წამოყვანილმა გერმანიის 57-ე ქვეითი დივიზიის შტაბის თანრიგიანმა ლეიტენანტმა ვინე კის განაცხადა: „უნაყოფო ცდებში, რომ აეღწერია გარემოცვის რკალი, ჩვენმა დივიზიამ საშინელი ზარალი ნახა. ასეულები დღეღამით კი არა, საათობით ჰკრებოდა. 16 თებერვლისათვის პოლკებში 40-50 კაცი დარჩა. ბევრი ოფიცერი ხელავდა ჩვენი მდგომარეობის მთელ უიმედობას და სიგიჟედ მიაჩნდა წინააღმდეგობის შემდგომი გაწევა. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ სტალინგრადის კატასტროფის შემდეგ, რამაც მთელი გერმანია შეარყია, ჰიტლერი ახალ ავანტიურას ვერ გაბედავდა. მაგრამ შეცდით. სტალინგრადის ტრაგედია განმეორდა დნეპრისპირეთში. თავისი პრესტიჟის შესანარჩუნებლად ჰიტლერმა კლავე გასწირა ათეულ ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი“.

ბრძანებუღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ავიაციის მარშალ ა. ა. ნოვიკოვისათვის ავიაციის მთავარი მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

ავიაციის მარშალ ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ნოვიკოვს მიენიჭოს ავიაციის მთავარი მარშლის სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 21 თებერვალი.

ბრძანებუღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

არტილერიის მარშალ ნ. ნ. ვორონოვისათვის არტილერიის მთავარი მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

არტილერიის მარშალ ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ვორონოვს მიენიჭოს არტილერიის მთავარი მარშლის სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 21 თებერვალი.

ბრძანებუღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საინჟინრო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ ვ. პ. ვორონოვისათვის საინჟინრო ჯარების მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს საინჟინრო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ მიხეილ პეტრეს-ძე ვორონოვს საინჟინრო ჯარების მარშლის სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 21 თებერვალი.

უკანასკნელი ცნობები

ამერიკის თვითმფრინავების მიერ დაიპყრობისა და გერმანიის ავიაქარხნების დაბომბვა

ოპერაციაში მონაწილეობდა 2.000 თვითმფრინავი

ლონდონი, 21 თებერვალი (საყდესი). ლონდონში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ 20 თებერვალს დღისით ამერიკის ბომბდამშენები თავს დაესხნენ ლაიპციგს. ამერიკის მე-8 საჰაერო კორპუსის მძიმე ბომბდამშენთა დივიზიებმა დაბომბეს გერმანიის ავიაქარხნები ლაიპციგის გარდა აგრეთვე გოტენში, ბერნბურგსა და ბრაუნშვეიგში. თავს დაესხნენ აგრეთვე სამხედრო ნაგებობებს ტუტოვში, ოშერსლებენში და სხვა სამხედრო ობიექტებს გერმანიაში.

როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამ საჰაერო ოპერაციებში მონაწილეობა მიიღო ამერიკის 2 ათასმა ბომბდამშენმა — „მუსტანგმა სიმაგრეებმა“ და „ლიბერეიტორებმა“ და გამანადგურებელმა თვითმფრინავებმა. ამერიკის ავიაციის სარდლის—გენერალ-მაიორ არნოლდის განცხადებით, ეს თავდასხმა „გერმანიაზე ერების უდიდესი საჰაერო ოპერაცია“ იყო.

ჩამოგდებულია ან დაზიანებულია გერმანიის 100-ზე მეტი ავიაგამანადგურებელი. მოკავშირეთა მხრივ მარტო გამანადგურებელმა თვითმფრინავებმა მოსპეს მტრის 61 თვითმფრინავი. ამ ოპერაციიდან არ დაბრუნებულა მოკავშირეთა 22 ბომბდამშენი და 4 გამანადგურებელი თვითმფრინავი.

გერმანიის ავიაციის თავდასხმა ლონდონზე

ლონდონი, 21 თებერვალი (საყდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 20 თებერვალს ღამით ლონდონს ორჯერ დაესხა თავს გერმანიის ავიაცია. გამოწვეულია ნგრევა და არის მსხვერპლი.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 21 თებერვალი (საყდესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების მთავარი ბანაკი იუწყება, რომ ამერიკისა და ინგლისის სამხედრო ბომალდები განაგრძობდნენ ყუმბარების დაშენას ფორმიისა და ანციოს რაიონებისათვის.

ანციოს პლაცდარმის რაიონში ამერიკის მე-5 არმიის ქვეითმა ჯარმა და ჯავშანსატანკო ნაწილებმა 48 საათის განმავლობაში გაუძლეს მოწინააღმდეგის გააფთრებულ იერიშებს და უკუაგდეს იგი. ტყვედ წამოყვანილია რამდენიმე ასი გერმანელი. მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი მოუვიდა. გერმანიის ავიაცია დიდ აქტიობას იჩენდა.

მე-5 არმიის მ

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

21 თებერვალს შესდგა თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება.

კრება გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ხ. ბაბანოვმა.**

უდიდესი აღფრთოვანებით, მჭუხარე ტაშით, აქტივის კრება, ფიქრზე ამდგარი, საპატიო პრეზიდიუმში ირჩევს დიდ **სტალინს.** მთელი დარბაზის ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ აგრეთვე **ამხ. ვ. მოლოტოვი, კ. ვოროშილოვი, მ. კალინინი, ლ. კაგანოვიჩი, ა. ანდრეევი, ა. მიკოიანი, ა. ჟდანოვი, ნ. ხრუშჩოვი, ლ. ბერია, ნ. შვერნიკი, გ. მალენკოვი, ა. შჩერბაკოვი, ნ. ვოზნესენსკი.**

მოხსენებით „საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის შედეგები“ გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანი.**

თავის მოხსენებაში ამხ. ჩარკვიანმა ხაზგასმით აღნიშნა ისტორიული მნიშვნელობა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები-სა თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებად გარდაქმნის შესახებ.

თავდაცვის და საგარეო ურთიერთობის დარგში მოკავშირე რესპუბლიკათა საქმიანობის გაფართოება მათი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ზრდის, მათი ნაციონალური განვითარების შედეგია, მთლიანად აღებული საერთო-საკავშირო სახელმწიფოს განმტკიცების შედეგი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობა მიმდინარეობდა წითელი არმიის ახალ ბრწყინვალე გამარჯვებათა ვითარებაში, რომლებსაც ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ამხანაგ **სტალინის** გენიას.

მომხსენებელი შეჩერდა ნაციონალურ სახელისო ფორმირებათა როლსა და მნიშვნელობაზე. ქართულმა ჯარის ნაწილებმა უჩვენეს სახელი მოიხვეჭეს ჩვენი სამშობლოსათვის ბრძოლებში, ჰიტლერელთა ურდოებისაგან კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში.

უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ახალგაზრდობის სამხედრო სწავლების გაძლიერება უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის სამხედრო მომზადების ხარისხის გაუმჯობესება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ დამტკიცებული სახელმწიფოებრივი გარდაქმნანი საბჭოთა საქართველოს მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას აკისრებენ მოვალეობას კიდევ უფრო გაადიდონ თავიანთი მონაწილეობა / საყოველთაო - სახალხო ბრძოლაში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის.

შემდეგ ამხ. ჩარკვიანი ჩერდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტზე, რომელიც ასახავს საბჭოთა ქვეყნის ძლიერების ზრდას.

ლაპარაკობს რა რესპუბლიკის მრეწველობის წინაშე 1944 წელს მდგომი ამოცანების შესახებ, მომხსენებელს მოჰყავს კონკრეტული მაგალითები თბილისის საწარმოებიდან და აღნიშნავს, რომ აუცილებელია უზრუნველყოფა მაღალ საწარმოო მაჩვენებელთა მიღწევა მუშების ნაკლები რაოდენობით, მუშათა კადრების მომზადების საქმის გაუმჯობესების გზით.

საკავშირო მთავრობის უდიდესი დახმარება საქართველოს სოფლის მეურნეობისადმი გვაალებს ახალი ენერგიით ვეცადოთ, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ სახელმწიფო დავალებანი, კერძოდ ჩაის, თამბაქოს, ვენახის, ციტრუსების დარგში.

— ეჭვი არ არის,—ამბობს დასასრულ ამხ. ჩარკვიანი,—რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** მიერ აღზრდილნი, ღირსეულად შეასრულებენ იმ ამოცანებს, რომლებიც დასმულია მათ წინაშე პარტიის, მთავრობისა და დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** მიერ.

კამათში გამოსული ამხანაგები მხურვალედ იწონებდნენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ მიღებულ კანონებს და ერთმანეთს უწიარებდნენ ფრონტის დასახმარებლად მიმართული პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებას, მოგვითხრობდნენ იმაზე, თუ როგორ ახორციელებენ პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციები. ამხანაგ **სტალინის** მითითებებს.

თბილისის პარტიული ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანმა ამხ. **ლოლაძემ** ილაპარაკა რა რაიონის მთელ რიგ სამრეწველო საწარმოთა წარმატებებზე, დაასახელა წარმოების მოწინავენი, რომლებიც სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ გაწეულ დავალებებს.

მაგრამ ზოგიერთმა საწარმომ, როგორც, მაგალითად, კუიბიშევის სახელობის ქარხანამ, არადამაკმაყოფილებლად დაიწყო მიმდინარე წელი.

საქართველოს საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა უშაობა აქტივს გააცნო საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. **რუხაძემ.** მთელმა რიგმა საწარმოებმა, როგორც, მაგალითად, მაუდ-კაბოლის და აბრეშუმაქსოვის ფაბრიკებმა, წარმატებით დაამთავრეს 1943 წელი.

ამხ. რუხაძემ მოიყვანა ცნობები საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში მუშათა ახალი კადრების მომზადების შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში სამეურნეო და პარტიულმა ორგანიზაციებმა ვერ შესძლეს უზრუნველეყოთ ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის წარმატება.

აკადემიკოსი ამხ. **ჯანელიძე** თავის გამოსვლაში შეჩერდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ მიღებული საბჭოს—კოლმეურნეთა კანონებით გათვალისწინებულ უმნიშვნელოვანეს გარდაქმნათა ისტორიულ მნიშვნელობაზე. ეს გარდაქმნანი მოწმობენ საბჭოთა სახელმწიფოს გაზრდილ ძლიერებას.

— საქართველოს მეცნიერი მუშაკები, — ამბობს ამხ. ჯანელიძე, — ჰოველ ძალ-ღონეს მოახმარებენ მოსისხლე მტერზე — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენი სრული გამარჯვების დაჩქარების საქმეს.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანმა ამხ. **მგელაძემ** ილაპარაკა იმ ახალ პოლიტიკურ და საწარმოო აღფრთოვანებაზე, რომლითაც მოეცულია დეპოს კოლექტივი. ერთ-ერთი ორთქლმავლის ბრიგადამ გალდებულება აიკისრა, რომ მოხარატებიდან მოხარატებამდე გაირბენდა 120.000 კილომეტრს, გაირბინა კი 150.000 კილომეტრი, ამასთან დაზოგა დიდძალი საწვავი.

თბილისის დეპოელები კონკრეტულ დახმარებას უწევენ გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების რკინიგზებს — ჰათოვის შეკეთეს 37 ორთქლმავალი, დაებმარნენ მოძრავი შემადგენლობის გაგზავნით და სხ.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგემ ამხ. **კაჭარავამ** მოიყვანა მთელი რიგი ცნობები საქალაქო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. მაგრამ, მთლიანად დამაკმაყოფილებელი შესრულების დროს, ბიუჯეტის ცალკეული მუხლები სათანადოდ არ არის შესრულებული.

ლენინის რაიონში მშრომელთა სამხედრო სწავლების დაყენების შესახებ ილაპარაკა თბილისის პარტიული ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. **ხუჯაძემ.**

თავდაცვის რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შენობა, უეჭველია, გადაჭრით გააუმჯობესებს მშრომელთა სამხედრო სწავლებისა და აღზრდის საქმეს.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. **გოძილაშვილი** შეჩერდა რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მთელ რიგ საწარმოთა მუშაობის დადებითს მაჩვენებლებზე. გადიდებულია ფართო მოხმარების საგანთა წარმოება. კარგად უშუაობენ 26 კომისრის სახელობის, სინსტრუმენტო, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნები. როგორც ნაკლი, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის როდი ეწევა საკმაო დახმარება საფორტო ბრიგადებს, არის კვალიფიციური მუშების არასწორად გამოყენების ფაქტები.

თავის გამოსვლაში ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარების სარდალი არმიის გენერალი ამხ. **ტიულენევი** ლაპარაკობს ფრონტისა და ზურგის განუყრელი კავშირის მნიშვნელობაზე ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა პატრიოტების შრომითს ღონისძიებებზე.

ამხ. ტიულენევი ცალკე ჩერდება წითელი არმიისათვის რეზერვების მომზადებისა და სწავლების საკითხზე.

შემდეგ ამხ. ტიულენევი ლაპარაკობს მებრძოლთა და მეთაურთა სამედიცინო მოშაპერების ზოგიერთ საკითხზე, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისადმი დახმარების შემდგომი გაუმჯობესების ამოცანებზე.

კრების სახელობის ქარხნის დირექტორმა ამხ. **ხარიშვლმა** აქტივს გააცნო ის შედეგები, რომლებსაც მიაღწია ომის დღეებში ქარხნის კოლექტივმა ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის და სხვათა ეკონომიის დარგში, შიდა რესურსებისა და რეზერვების გამოყენების დარგში.

მარტო 1943 წლის განმავლობაში ქარხანაში მომზადებულ იქნა 230 ახალი მუშა, მაგრამ მათთან სისტემატურ ათმხრივლებითის მუშაობას არ ეწევიან, რაც კადრების დენადობას იწვევს. ქარხანაში მოწყობილია მუშათა 21 ბრიგადა.

აქტივის კრებამ ერთსულოვნად მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. **ჩერქეზიას** მიერ წაკითხული რეზოლუცია ამხ. ჩარკვიანის მოხსენების გამო.

პარტიული აქტივის კრება განსაკუთრებული აღფრთოვანებით, ფეხზე ადგომით, მჭუხარე ტაშით აღებს დიდი ბელადისა და მხედართმთავრისადმი — ამხანაგ **სტალინისადმი** შიძღვნის ტელეგრამას.

გენერლების ეიზენჰაუერისა და კლარკის მისალმებანი წითელი არმიისადმი

ნიუ-იორკი, 20 თებერვალი (საკდესი). ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალურმა საბჭომ გადასცა ცნობა, რომ მან გენერლების ეიზენჰაუერისა და კლარკისაგან ჰიიღო დეპეშები, რომლებითაც ისინი მიესალმებიან წითელი არმიის შეტევას.

გენერალ ეიზენჰაუერის მისალმებაში ნათქვამია:

ორი წელიწადი და რვა თვეა მას შემდეგ, რაც ჩვენი საერთო მტერი, ცივილიზებული მსოფლიოს მტერი, ასრულებდა რა დაპყრობისა და აოხრების თავის პროგრამას, ომის გამოუცხადებლად, გამცემლურად შეიჭრა რუსეთის მიწა-წყალზე. ამის შემდეგ მსოფლიო გახდა მოწმე თავდაცვითი ომის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი სავგირო საქმისა ისტორიაში, როდესაც რუსეთის არმიის ჯარისკაცებმა თავიანთ მკერდზე ჰიიღეს ნაცისტური სამხედრო მანქანის დარტყმათა მთელი ძალა და საბოლოოდ შეაჩერეს იგი. ახლა ჩვენ ვართ მოწმე კიდევ უფრო დიდი სამხედრო ეპოპეისა — გიგანტური შეტევისა, რომელშიც რუსეთის არმიის იგივე ოფიცრები და ჯარისკაცები კიდევ უფრო მძაფრად ურტყამენ და მიერეკებიან ჰიტლერს მის მიერ გაძარცული მიწა-წყლიდან მის ბუნაგში, რომელიც ინგრევა. მივესალმები საბჭოთა ჯარისკაცების შეტევას წითელი არმიის წლისთავის დღეს, რომელსაც თვითონ ისინი ასე შესანიშნავად აღნიშნავენ. თუმცა ჩვენ კიდევ მოგველის გადამწყვეტი ბრძოლები, მაგრამ მაღალი საბრძოლო თვისებანი მოკავშირეთა ჯარისკაცებისა, რომელთა მიერაც ჰიტლერული ციხე-სიმაგრე ალყაშემორტყმულია ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, უზრუნველყოფენ გარდუვალ საბოლოო გამარჯვებას“.

გერმანელთა პროპაგანდის გაძლიერება თურქეთში

კაირო, 20 თებერვალი (საკდესი). უურნალისტთა ადგილობრივ წრეებში ყურადღებას აქცევენ იმას, რომ უკანასკნელ ხანს გაზრდა თვალსაჩინო გერმანელ პროპაგანდისტთა გამგზავრება თურქეთში, ამასთან ფაქტები მოწმობენ, რომ თურქეთის ოფიციალური წრეები ხელს უწყობენ გერმანელ პროპაგანდისტთა საქმიანობის გაძლიერებას თურქეთში.

ამერიკის ავიაციის დიდი თავდასხმა გერმანიის საავიაციო ქარხნებზე

ლონდონი, 20 თებერვალი (საკდესი). საომარი ოპერაციების ევროპის ასპარეზზე მყოფ ამერიკის სტრატეგიულ სამხედრო-საჰაერო ძალთა სარდლობის შტაბმა გამოაცხადა, რომ 20 თებერვალს ამერიკის მძიმე ბომბდამშენები თავს დაესხნენ გერმანიის საავიაციო ქარხნებს, რომლებიც გამანადგურებელ თვითმფრინავებს ამზადებენ. ეს თავდასხმა უდიდესი იყო იმ თავდასხმათაგან, რაც კი დღისით მომხდარა ომის მთელი დროის განმავლობაში.

ინგლისის ბომბდამშენთა თავდასხმა შვეჯპარზსა და მიუნხენზე

ლონდონი, 21 თებერვალი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 20 თებერვალს ღამით ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის დიდი შენაერთები თავს დაესხნენ გერმანიის. თავდასხმის მთავარი ობიექტი იყო შტუტჰარტი. დაბომბილ იქნა აგრეთვე მიუნხენი და ობიექტები ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა ბერლინსა და ლაიპციგზე

ლონდონი, 20 თებერვალი (საკდესი). ავიაციის სამინისტროს ცნობით, 19 თებერვალს ღამით ინგლისის ბომბდამშენი ძალები ძალები თავს დაესხნენ ლაიპციგს. ქალაქს დააყარეს 2.300 ტონაზე მეტი ფუგასური და ცეცხლგამჩენი ბომბი. ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა.

„მოსკოვის“ ტიპის თვითმფრინავებმა დაბომბეს ბერლინი და მთელი რიგი ობიექტები დასავლეთ გერმანიაში.

მეცადინეობის შეწყვეტა ფინეთის გიმნაზიებში

სტოკჰოლმი, 20 თებერვალი (საკდესი). შვეციის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ფინეთის მთელ რიგ ქალაქებში—კოტკაში, ლოვიზოში, ბორგოში, ჰელსინგში, აბოსა და სხვა ქალაქებში შეწყვეტილია ყოველგვარი მეცადინეობა გიმნაზიებში. მანამდე აქ მეცადინეობა შეწყვეტილი იყო სახალხო და საშუალო სკოლებში, აგრეთვე სახელოსნო სასწავლებლებში.

ასურეთის მჭს-ს მიეკუთვნა გარდამავალი წითელი დროშა და მიეცა ფულადი პრემია

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის მიწსახკომმა განიხილეს შედეგები მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოებისა და სარემონტო ქარხნების მიერ ტრაქტორების შემოდგომა-ზამთრის რემონტის გეგმების შესრულებისა 1944 წლის იანვარში პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სსრ კავშირის მიწსახკომის გარდამავალი წითელი დროშები მიეკუთვნათ და ფულადი პრემია 20 ათასი მანეთი მიეცათ მთელ რიგ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, რომლებმაც ტრაქტორების რემონტის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს. მათ შორის გარდამავალი დროშა მიეკუთვნა და 20 ათასი მანეთი პრემია მიეცა საქართველოს სსრ ასურეთის მტს-ს (დირექტორი ამხ. ვანიევი).

სახალხო კომისრის ჯილდო

სახალხო კომისარმა, გზათა გენერალ-დირექტორმა **ლ. მ. კაგანოვიჩმა** 21 თებერვალს დეპეშა გამოუგზავნა სოციალისტური შრომის გმირის შ. კოხრეიძის საორთქლმავლო ბრიგადას.

დეპეშაში სახალხო კომისარი სწერს:

— გზათა სახალხო კომისარიატი მხურვალედ მიესალმება და ულოცავს თქვენს საორთქლმავლო ბრიგადას საწარმოო გამარჯვებას, რომელიც იმით გამოიხატა, რომ თქვენ აწევითი რემონტზე დაყენეთ თქვენი ორთქლმავალი მას შემდეგ, რაც 152.227 კილომეტრი გაირბინეთ დეპოში შეუსვლელად სამატარებლოსაშოროსო რემონტისათვის, აგრეთვე სახელმწიფო სხსრების დიდ ეკონომიას მიაღწიეთ რემონტში და დაზოგეთ 77.881 კილოგრამი თხევადი საწვავი.

გაგვილოცებთ თქვენ, ამხ. კოხრეიძე, მეძანქანე ამხ. დუნდუას, თანაშემწეებს ამხ. შასტანსა და მამულაშვილს ნაშენებით „წარჩინებული მორთქმლავლე“, აგრეთვე თვიუარი ხელფასით. გისურვებთ შემდგომ წარმატებებს მუშაობაში. (საქდესი).

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის პლენუმი

19 თებერვალს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მე-6 პლენუმი, რომელმაც მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მდივნის ამხ. გ. ბაქრაძის საანგარიშო მოხსენება. მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს არ. ჩარკვიანმა, გ. აბუაშვილმა, ს. საგინაშვილმა, ნ. ბიდეურამ, სულ 14 ამხანაგმა.

პლენუმმა მუშაობის გასაუმჯობესებლად დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ამხ. გ. ბაქრაძე პლენუმმა გაათავისუფლა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ვ. კობახიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ვ. ბუჯაიშვილმა.**

გმირის პატივსაცემად

ახალქალაქი, (საქდესი). დიდი აღმავლობით ჩატარდა სოფ. ალასტანში მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სოფ. ალასტანის მცხოვრებ პოლკოვნიკ ლეონ ოჰანესის-ძე **დარპინიანისათვის** საბჭოთა კავშირის გმირის საპელწოდების მინიჭების. მიტინგი გახსნა ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ნანუშიანმა. წარჩინებული თანამემამულის დაჯილდოების შესახებ ინფორმაციით გამოვიდა ახალქალაქის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს მდივანი ამხ. ვოსკანიანი.

მიტინგზე გამოვიდა 8 კოლმეურნე ქალი და მამაკაცი, მათ შორის საბჭოთა კავშირის გმირის და კოლმეურნე ქალი ანუშ ჰონაშენი.

კოლმეურნეებმა თავიანთი თანამემამულისათვის მაღალი ჯილდოს მინიჭების აღსანიშნავად იკისრეს ვალდებულება ჰიმდინარე წელს მიიღონ უხვი სამხედრო მოსავალი.

გენერალ გიორგი ლეონიძის ლექსები

გიორგი ლეონიძის ლექსების კრებული, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში გამოვიდა, განსაკუთრებულ ადგილს იჭერს საბჭოთა ლიტერატურის რთული ვითარების ფონზე. ლეონიძის რეალიზმს, მის ღრმა შემოქმედებითს ფანტაზიას, მის პოეტურ კონცეპციას, რომელშიაც შერწყმულია ენტუზიაზმი სულიერი და ენტუზიაზმი ოსტატობისა, უმკვიდრესი საფუძველი აქვს: თავიდანვე პოეტი ღრმად დაუკავშირდა ქართული კულტურისა და საქართველოს ისტორიის ფესვებს. ძველი ქართული კულტურის ოსტატებისაგან მიიღო ლეონიძემ მადლი ქართული სიტყვისა, ის შინაგანი სულიერი ძლევამოსილება ხალხის ენერგიისა, რომელიც პოეტის სიტყვაში გაიფურჩქნება ხოლმე, რომ სამუდამოდ უკვდავ-ყოფილ იქნას.

გიორგი ლეონიძემ ძველ ქართველ ოსტატთა **ამ** უკვდავებას დაუკავშირა საქართველოს **უკვდავება.** კითხულობთ მის ლექსებს **„წიგნი „ქართლის ცხოვრება“, „მინაწერი „ქართლის ცხოვრებაზე“, „მე კითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“, „ვეფხვისტყაოსანს“, „ფორთოხალს“, „მეცამეტე საუკუნეს“** და თქვენს წინაშე ნათლად სდგება რეტროსპექტიული სურათი ძველი საქართველოსი: სოცარი სიღრმით და სინაზით, პირდაპირ ფიზიკური ტკივილებით, განიცდის პოეტი საქართველოს ტრაგიკულ ისტორიას. ის ზმანებაში დანახული წარსულის სურათი სამშობლოს აოხრების:

„უცბად მეყოფა სუნი დამწვრისა,
თემურის ხანძართ ნატესუასალი,
თითქოს მან ქართლი ამ წამს გასრისა,
და ერთი ფეხით ვერ მივუსწარი“.

ან კიდევ:

„მე ჩემს პრილობად მაქვს მიჩნეული
შენი მარაბდა, შენი კრწანისი“.

პატრიოტიზმი დაგვიხატა პოეტმა, როგორც გარდაუვალი გრძნობა. ეს პატრიოტიზმი იგრძნებდა ალექსანდრე მაკედონელის ჯარებს, ის ებრძოდა მონგოლთა ურდოებს, ის ჰუსრავდა მოზღვავებულ მუსლიმანურ აგრესიას. ის, როგორც სუბსტანციური ყოფა ქართველი ხალხისა, იცავდა სამშობლოს და იმავე დროს შთააგონებდა დიდ კულტურის ოსტატებს. ის შარად უკვდავად დარჩა დღეს უფრო ძლიერი, თავისუფალი და ბედნიერი.

გ. ლეონიძის ლექსების წიგნში ისმის ქართველი ხალხის გულისცემა. აქ ისმის მძლავრი, თავისუფალი და ღონიერი სუნთქვა სიცოცხლისა, ცოცხალი ბუნებისა, ცოცხალი მიწისა. მის ლექსს ახასიათებს განუმეორებელი, თავისებური სიახლე და სინორჩე ქართული სიტყვისა, რომელშიაც თითქოს თვით ბუნებისა და გაზაფხულის ხალისი და სიცოცხლე ღვივის. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი ლექსი „წარწერა წიგნზე“:

„დავხარჯე გულის ზოდები,
ცწვი ოცნებათა ზვინები...
ლექსო, მიდექ და მოდექი,
სამშობლოს შეეძინები!
ჩემს სიტყვას ზრდიდა ნაყური
რძეგავსილ კვირტის ძალების,
ყამირის ღონე ვაფური
და დედის ბოსტნის კვალები.
დამიწერთო სიტყვა მედგარი
ქართლის ნიავის ჩურჩულმა
და გულის შუქი მფეთქავი
მშობელ ცამ გადალურჯულმა“.

იგივე განწყობილებაა გადმოცემული ლექსში „ჩემი იადგარი“:

„ქართლო, ხმას შენთვის დავრეკავ
შენი ფუძნარის ძალებით;
მე გულით დაგზე დაგეკარ,
მე შენ არ დაგეცალები!“.

ამ ლექსებში, სჩანს უძლიერესი ექსპრესია და გაძახება, ღრმად ჩაწვდენა და მთლიანობაში შემეცნება ქვეყნისა. პოეტი სამშობლოს სიყვარულს ზრდის და აღვივებს მაშინაც, როცა ბუნებას უმღერის. ამ სიყვარულით არის მადლმოსილი ყველა სახე მისი ლექსისა. ეს სახეები უხვად, უდარდელად და ხანდახან მეტის-მეტი ხელგაშლილობით არიან მიმობნეული მის ლექსებში. სახეები ხშირად არათანაზომადნი არიან, ე. ი. ხან უნაზესი, ხანაც დიადნი—გმირული შემართებით და სულიერი მტკიცეობით აღსავსენი. პოეტი შეპხარის ერთის მხრივ მშუქარ ვაზის ყვავილებს და თოვლის ფანტელებს, რომლებიც მიმინოსავან დაფეთებული მტრედებივით მიფრინავენ, მეორეს მხრივ თოვლგადაწყარ მთებს, სადაც ბანაკა ზვავთა ზრიალი ისმის და არწივები მზეს ფრთებს უტყლაშუნებენ. აი ამ სახეებში გაჰკრნდება ხოლმე ლეონიძის ლექსს ვაჟკაცური პათოსი და სტატიურად მბორგავი ძალა, მასში ისმის ძახილი სამშობლოს მიწისა, მასში იგრძნობა ძლევამოსილება და ღონიერი სუნთქვა ამ მიწ-ის, კეთილშობილური პატრიოტიზმის ეჭვტა-ხი და მოშხიბლაობა.

ლეონიძის პოეზიის მთავარი პათოსი—ეს არის გმირულისა და დიადისაკენ, ძველი ესთეტიკოსების სიტყვით რომ ვთქვათ, აძაღლებულის კატეგორიისაკენ მისწრაფება. ამან შეუწყო მას ხელი გამხდარიყო ჰეშმარიტი პოეტი სტალინური ეპოქისა, თავის ლექსებში აესახა ის მძაფრი შემობრუნება ისტორიისა, ის რევოლუციური განახლება, რომელმაც თავისუფლების მზის შუქი მოჰფინა ჩვენს ქვეყანას. ლეონიძის პოეზიის მთავარი თემა სამშობლო და სტალინია. ფართოდ იღებს პოეტი ამ თემას—თვალმიუწუდენ ისტორიულ მასშტაბებში და პერსპექტივებში. მან გვიჩვენა, რომ სტალინი და სამშობლო განუყრელი ცნებებია. პატრიოტიზმის თემა მის ლექსში მუდამ დაკავშირებულია დიდი ბელადის სახესთან. აქ ისმის ყველაზე მძლავრი აყოერება მისი ლექსისა, აქ აღწევს ის თავის შემოქმედების ზენიტს. პოეტი მიმართავს სტალინს:

„და თუ სამშობლო მშვენიერია,
ვით აყვავება გაზაფხულისა, —
შენი, შენგანი, შენმიერია
მისი ფეთქვა და მისი გულისხმა“.

ომის პირველ დღეებში პოეტი სწერდა:

„მტერი ფეხთ გავატანინოთ,
ნაჩვევი ჭორდულ ლალატსა;
სტალინო,
ჩვენო სტალინო,
დღესაც იმედო, ხვალაც!“.

ეს დიდი პატრიოტული გულის ფეთქვა ახლებურად გაიფურჩქნა და კიდევ უფრო გამძლავრდა ლეონიძის ლექსში, როცა ჩვენი ხალხი გმირულად აღსდგა ფაშისტური გერმანიის შემოსეული ურდოების გასანადგურებლად. „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“, „ჰეი არწივნო“, „სამშობლოს გმირებს“ და სხვა ლექსები პოეტისა—ეს მგზნებარე მოწოდებანია. ამ ლექსებიდან თვით ხალხის ხმა ისმის თავის შვილთა მიმართ, რათა დაიცვან სამშობლო, დაიცვან წინაპართა საფლავები და ბავშვთა აკვნები. სამამულო ომის პერიოდის ლექსებში კვლავ დიდი ბელადის სახე დგას ლეონიძის პოეზიის ცენტრში:

„დღესაც მტრის ურდოს, ცეცხლით
მყეფარეს,

წინ შეაგები ნება მედგარი
და მოსკოვს მკერდით გადაეფარე,
ჩააცევ შენი ჯავშან-ბეგთარი“!.

სამამულო ომის პერიოდში ლეონიძის ლექსში კვლავ გამოჩნდა სახე ქართველის დედისა, იმ დედის, რომელიც ზრდიდა და ეხლაც ზრდის დიდ სამშობლოს ვაჟკაცებს. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „ქართველ ქალს“. აქ არის სახე ქართველი ქალისა, დედისა, დისა და სატრფოსი, „თავისუფლების ვეფხვთა დედისა“, რომლის აკვანი ჰა“ და სხვ. მთელი ხმით უმღერა ლეონიძემ ჰიტლერის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მარადიულ თემას—სიყვარულს. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსები: „ყივრაღის პაემანი“, „მეტეხის თავზე“, „ანგელოზის ფრესკა“, „ნინოწმინდის ღამე“, „თოლია“, „სიმღერა თარზე“ და სხვ. ეს საოცნებოთოდ აღიარებული შეიერვებია, სადაც პოეტი აგრძელებს ქართული ლიტერატურის კეთილშობილურ ტრადიციებს, იმ ძველ ოსტატთა ტრადიციებს, რომელნიც ეტრფოდნენ ადამიანურ სილამაზეს, რომელთა ყოველივე სახე და სტრიქონი აღსავსე იყო ჰუმანიზმით, ადამიანისადმი სიყვარულით და ოპტიმიზმით.

ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, თითქოს ლეონიძის ლექსების წიგნი აბსოლუტურად უნაკლო იყოს. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ძნელი მოსძებნია ისეთი პოეტი, რომელიც თანაბრად ძლიერი იყოს ყველა ლექსში. ამგვარი შეფერხებანი გეხვდება ლეონიძის წიგნშიც, კერძოდ ეს ითქმის „ბეზე წარწერილი ლექსებისა“ და „ავადუღოთ მარგალიტის“ შესახებ. პირველ ლექსში პოეტი სწერს:

„დაბადებული ოქრო ხარ,
დილის ლალი და ფირუზი,
მოსარულე ჰაისი
პირვარდი, შუბლასპიროზი“.

ეს უხერხული იმიტაციაა ხალხურისა. მასში ეპიტეტები ბლომად არის, მაგრამ არ არის ჩვეული სინათლე აზრისა და არც ლექსია გამართული. არც გამოთქმებია მასში სანიმუშო: მაგალითად, რას ნიშნავს „დაბადებული ოქრო“. ეს მეტად ბუნდოვანი სახეა. ასევე ითქმის მეორე ლექსის „ავადუღოთ მარგალიტი“-ს შესახებ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცალკეული გამონაკლისებია მის მდიდარ და მრავალფეროვან პოეზიაში.

ბოლოს არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს გ. ლეონიძის უაღრესად პოეტური ნაყოფიერება სამამულო ომის დღეებში. მისი ლექსის საზოგადოებრივი რეზონანსი უფრო მეტად გაიზარდა. უკანასკნელად გამოვიდა პოეტის ახალი წიგნი „ქართველ მეომრებს“. ეს არის ლექსი, წარმოთქმული საქართველოს დელეგაციის სახელით მოქმედ არმიაში, ანაპის 414 მსროლელი დივიზიის ნაწილებში, 1943 წლის 7 და 8 ნოემბერს. აქ პოეტმა გამოსთქვა ის ტკბილი ალერსი სამშობლოსი, რომლითაც გარემოსილნი არიან ჩვენი მეომრები. ეს ცალკე ხაზია პოეტის შემოქმედებაში, სადაც პოეზია იქცევა ერთგვარ სახალხო ტრიბუნად, სადაც ეს უშუალოდ უერთდება მილიონიანი მასების უგულითადეს მისწრაფებებს.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 20 თებერვალი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გასული დღე-ღამის განმავლობაში ანციოს რაიონში განუწყვეტელი გაფთრებული ბრძოლები იყო. ორივე მხრიდან მოქმედებდნენ ტანკები და ქვეითი ჯარი, რომლებსაც ტანკები და ქვეითი ჯარი, რომლებსაც ხელს უწყობდა არტილერიის ინტენსიური მოქმედება. დიდ აქტივობას იჩენდა აგრეთვე ორივე მხარის ავიაცია. მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი ჰოუვდა.

ამერიკის მე-5 არმიის ძირითად ფრონტზე განხორციელებულ იქნა ბრძოლები მტრის წინააღმდეგ ქალაქ ვალმონტონეში და ქალაქის დასავლეთით მდებარე ბოტები. ინგლისის მე-8 არმიის ფრონტზე ძირითად თოვლი და ზოლაპულობა აფერხებდა ოპერაციებს მთებში.

მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა თავდასხმებს მტრის სამხედრო ობიექტებზე. დღის განმავლობაში მოსპობილ იქნა მტრის 26 თვითმფრინავი.

ომი წყნარ ოკეანეში

ვაშინგტონი, 20 თებერვალი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ამერიკის ჯარებმა დაიკავეს ენგებში იაპონელთა საჰაეროსაზო ბაზა და რამდენიმე სხვა კუნძული ენივეტოკის კუნძულების (მარშალის კუნძულ